# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება N 01-02/30

ქ. ბათუმი 4 მარტი, 2019 წ.

*ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ*

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01-11/98 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანების და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 4 მარტის N265175 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

*ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:*

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში ,,სსსმ") ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) შესარჩევად.
2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

   ა) ფლობდეს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს (სასურველია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი);

   ბ) გავლილი ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის განათლების მოღული;

გ) უნდა ჰქონდეს სპეციალურ მასწავლებლად/ინკლუზიული განათლების სპეციალისტად მუშაობის არანაკლებ 2 წლის სამუშაო გამოცდილება;

დ) უნდა იცოდეს საკონკურსო თემატიკა („პროფესიული განათლების შესახებ' საქართველოს კანონი, ბსუ-ს წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციათა აღწერილობა).

3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი/ასლები;

დ) ავტობიოგრაფია (CV - შევსების თარიღის მითითებით);

ე) ფერადი ფოტო (ზომა ¾);

ვ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი ან/და სხვა).

4. **კონკურსის ვადები განისაზღვროს** შემდეგნაირად:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2019 წლის 5 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით;

ბ) კონკურსის ჩატარება (დოკუმენტაციის შემოწმება - I ეტაპი და კონკურსანტებთან გასაუბრება - II ეტაპი) - 2019 წლის 12-13 მარტი;

გ) საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო შედეგების საჯარო გამოცხადება ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის და კანცელარიასთან არსებული საინფორმაციო დაფის მეშვეობით - არაუგვიანეს 2019 წლის 14 მარტისა;

დ) კონკურსანტის სააპელაციო საჩივრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - 2019 წლის 15 მარტს, 10 საათიდან 15 საათამდე;

ე) სააპელაციო საჩივრის საკონკურსო კომისიის მიერ განხილვა და საბოლოო შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით - არაუგვიანეს 2019 წლის 15 მარტი;

ვ) კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება - 2019 წლის 18 მარტიდან (შრომითი ურთიერთობის ვადა - 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით), ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

5. გასაუბრების ჩატარების დრო და ადგილი კონკურსანტებს ეცნობება საკონკურსო კომისიის მიერ, გასაუბრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი დღით ადრე (სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმირება).

6. სპეციალური მასწავლებლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს ერთი სტუდენტის შემთხვევაში - 300 ლარს (სტუდენტის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით).

7. სპეციალური მასწავლებელი ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციები, ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს უფლებამოსილი პირების მოთხოვნები და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციები.
8. განცხადებების შემოტანის ვადის ამოწურვისთანავე კონკურსანტების შემოტანილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე კანცელარიამ გადასცეს საკონკურსო კომისიას.
9. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,კონკურსი'' და „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
10. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და კანცელარიას.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**